



თქვენ ეჭვმიტანილი ხართ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში.

თქვენ დაგაკავათ და გადაგიყვანათ პატიმრობაში პოლიციამ ან სხვა საგამოძიებო სამსახურმა, ან თქვენ მიგინვიეს გამოკითხვაზე. ეს საინფორმაციო ფურცელი განგიმარტავთ თქვენს უფლებებს და აგიხსნით, თუ რა ხდება თქვენი გამოკითხვის შემდეგ.

Georgisch

როდესაც ამ საინფორმაციო ფურცელზე აღნიშნულია „პოლიცია“, ის ასევე შეიძლება მიუთითებდეს სხვა საგამოძიებო სამსახურზე.

როგორცაა პოლიციაში დაკავების ბრძანება და გამოცხადების უწყება.

გაქვთ შეკითხვები?

გთხოვთ, ყურადღებით წაკითხოთ ეს საინფორმაციო ფურცელი. თუ მისი წაკითხვის შემდეგ გაგიჩნდებათ კითხვები, დაუსვით ისინი თქვენს ადვოკატს, პოლიციას ან ნებისმიერ სხვა საგამოძიებო სამსახურს, რომელიც იძიებს თქვენს საქმეს.

მეტი ინფორმაციისათვის ეწვიეთ იურიდიული დახმარებისა და კონსულტაციის ცენტრის ვებგვერდს (www.juridischloket.nl), ხელმისაწვდომია მხოლოდ ჰოლანდიურ ენაზე) ან დაუკავშირდით მათ ნომერზე 0900 8020 (წუთის საფასური €0.10). თქვენ შეგიძლიათ დარეკოთ იურიდიული დახმარებისა და კონსულტაციის ცენტრში ორშაბათიდან პარასკევამდე დილის 9:00 საათიდან საღამოს 5:00 საათამდე.

თუკი არ გესმით და არ საუბრობთ ჰოლანდიურად სათანადო დონეზე

თუკი არ გესმით და არ საუბრობთ ჰოლანდიურად სათანადო დონეზე, თარჯიმნის მომსახურების მიების უფლება გექნებათ. ეს მომსახურება უფასოა. ასევე გაქვთ უფლება, რომ გარკვეული დოკუმენტები ნათარგმნი იყოს თქვენთვის,

თუკი პოლიციამ მიგინვიათ გამოკითხვაზე

თუკი პოლიციამ მიგინვიათ გამოკითხვაზე, რადგანაც ეჭვმიტანილი ხართ სისხლის სამართლის დანაშაულში, თქვენ მოგეთხოვებათ გაიაროთ იდენტიფიკაცია გამოკითხვამდე. აქედან გამომდინარე, თქვენ უნდა იქონიოთ ქმედითი საიდენტიფიკაციო დოკუმენტი, როგორცაა პასპორტი ან ევროპული პირადობის დამადასტურებელი ბარათი.

გამოკითხვამდე შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ადვოკატს. ადვოკატს შეუძლია მოგაწოდოთ ინფორმაცია და იურიდიული რჩევა და ასევე დაეხმაროს გამოკითხვას. უფრო დეტალურად აღნიშნული საკითხი მოცემულია ქვემოთ. თუკი თავად აირჩევთ ადვოკატს, მოგიწევთ მისი ხარჯების დაფარვა.

თუკი დაგაკავეს და წაგიყვანეს პოლიციის განყოფილებაში

თუკი დაგაკავათ პოლიციამ, იმიტომ რომ ეჭვმიტანილი ხართ სისხლის სამართლის დანაშაულში, თქვენ გამოგკითხავთ პოლიცია. ეს ნიშნავს იმას, რომ პოლიციამ შესაძლოა დაგისვათ შეკითხვები.

თქვენი უფლებები:

- თქვენ გაქვთ უფლება არ გასცეთ პასუხები კითხვებს (დუმის უფლება).
- თქვენ გაქვთ უფლება პირველ გამოკითხვამდე და ნებისმიერ სხვა მომდევნო გამოკითხვამდე კონფიდენციალურად გაესაუბროთ თქვენს ადვოკატს.
- თქვენ გაქვთ უფლება გამოკითხვაზე ადვოკატის დასწრების, რათა მისგან მიიღოთ იურიდიული დახმარება.
- თუ რაიმეს ვერ გაიგებთ, უთხარით პოლიციას. ასევე უთხარით პოლიციას, თუ თავს ცუდად იგრძნობთ, გჭირდებათ ექიმთან ვიზიტი ან გადაუდებელი სამედიცინო დახმარება და მედიკამენტი.
- თუ სახელმწიფო პროკურორი ან სახელმწიფო პროკურორის თანაშემწე გადაწყვეტს, რომ უნდა დარჩეთ პოლიციის განყოფილებაში, თქვენ გაქვთ უფლება აცნობოთ ვინმეს (მაგალითად ოჯახის წევრს ან თანამაცხოვრებელს), რომ იმყოფებით პატიმრობაში. ზოგიერთ შემთხვევაში სახელმწიფო პროკურორი ან სახელმწიფო პროკურორის თანაშემწე წყვეტს, რომ დროებით გაგათავისუფლოთ პოლიციის პატიმრობიდან. ის შეგატყობინებთ ამის შესახებ.
- თუ არ ხართ ჰოლანდიელი, შეგიძლიათ მოითხოვოთ, რომ აცნობოთ თქვენი ქვეყნის საკონსულოს ან საელჩოს პოლიციის პატიმრობაში ყოფნის შესახებ.
- თქვენ გაქვთ უფლება ნახოთ თქვენს საქმეში არსებული დოკუმენტები. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება სახელმწიფო პროკურორმა გადაწყვიტოს, რომ ეს არ არის ნებადართული. ის შეგატყობინებთ ამის შესახებ.

რამდენ ხანს შეუძლია პოლიციას თქვენი პატიმრობაში გაჩერება?

- იმ დანაშაულიდან გამომდინარე, რაშიც ეჭვმიტანილი ხართ, პოლიციას შეუძლია გაგაჩეროთ პატიმრობაში 90 საათამდე (3 დღე და 18 საათი)
- თუ გამოძიება მოითხოვს თქვენი პატიმრობის გახანგრძლივებას, გადაწყვეტილებას პატიმრობის გახანგრძლივების შესახებ იღებს სასამართლო. თუ არ ეთანხმებით დაკავებას ან სასამართლოს გადაწყვეტილებას პატიმრობის გახანგრძლივების შესახებ, შეგიძლიათ რჩევა ჰკითხოთ ადვოკატს.

ადვოკატის მიერ იურიდიული დახმარების გაწევის უფლება

პოლიციის მიერ გამოკითხვამდე უფლება გაქვთ 30 წუთით შეხვედეთ ადვოკატს. თუ საჭიროა, შესაძლებელია ამ შეხვედრის გაგრძელება კიდევ 30 წუთით. დაგენიშნებათ თუ არა ადვოკატი თქვენ, დამოკიდებულია იმ სისხლის სამართლის დანაშაულის სიმძიმეზე, რომელშიც ეჭვმიტანილი ხართ.

- თუკი ეჭვმიტანილი ხართ ძალიან მძიმე დანაშაულში, რომელიც ისჯება 12 და მეტი წლით თავისუფლების აღკვეთით (როგორცაა განზრახ ჩადენილი ან გაუფრთხილებელი მკვლელობა), ან თუკი პოლიცია

მიგინევთ დაუცველად თქვენი გონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, ადვოკატი ავტომატურად დაგენიშნებათ, რათა გაგესაუბროთ. ეს უფასოა.

- თუ არ გსურთ ადვოკატთან შეხვედრა, გთხოვთ მკაფიოდ უთხარით ადვოკატს ამის შესახებ.
- თუ ეჭვმიტანილი ხართ მძიმე დანაშაულში, რომლისთვისაც შეიძლება დაგაპატიმრონ სასამართლო სხდომის ჩატარებამდე (როგორცაა ყაჩაღობა)– შეგიძლიათ თავად აირჩიოთ, გსურთ თუ არა დაგენიშნოთ ადვოკატი, რათა გაესაუბროთ მას პოლიციის მიერ გამოკითხვამდე. თუკი გსურთ, პოლიცია დაგენიშნავთ ადვოკატს. ეს უფასოა.
- თუკი ეჭვმიტანილი ხართ ნაკლებად მძიმე დანაშაულში, შეგიძლიათ აირჩიოთ, გსურთ თუ არა ადვოკატთან საუბარი. თქვენ პირადად უნდა დაუკავშირდეთ ადვოკატს და დაფაროთ ამ ადვოკატთან შეხვედრის ხარჯები.

თუ არ ხართ დარწმუნებული, რომელი მდგომარეობა გესადაგებათ, დასვით შემდეგი კითხვები:

- დამენიშნება თუ არა ადვოკატი ავტომატურად, თუ მე თავად შემიძლია გადაწყვიტო, ავიყვანო თუ არა ის?
- ადვოკატის იურიდიული დახმარების ხარჯები მე უნდა დაფარო?

თუ იცნობთ ადვოკატს, რომელიც გსურთ, რომ დაგეხმაროთ, აცნობეთ პოლიციას ამის შესახებ. თუ თქვენი ადვოკატი არ არის რეგისტრირებული იურიდიული დახმარების საბჭოში, თქვენ თავად მოგიწევთ მისი ხარჯების დაფარვა. თუ პოლიციას მიაწვდით ადვოკატის დანიშვნისათვის საჭირო პირად მონაცემებს, ეს პირადი მონაცემები დამუშავდება იურიდიული დახმარების საბჭოს მიერ.

თქვენ ასევე გაქვთ ადვოკატის დასწრების უფლება პოლიციის მიერ ჩატარებულ გამოკითხვაზე. თუ ეჭვმიტანილი ხართ მძიმე დანაშაულში, ეს იურიდიული დახმარება უფასო იქნება. თუ ეჭვმიტანილი ხართ ნაკლებად მძიმე დანაშაულში, ეს ხარჯები თქვენს მიერ იქნება დასაფარი.

გთხოვთ გაითვალისწინოთ რომ:

- თუ თქვით, რომ არ გჭირდებათ ადვოკატის მიერ იურიდიული დახმარების განევა, ყოველთვის შეგიძლიათ შეიცვალოთ აზრი;
- თუ თქვით, რომ გსურთ ადვოკატისაგან იურიდიული დახმარების მიღება, პოლიციას არ აქვს უფლება დაიწყოს გამოკითხვა მანამ, სანამ არ გაესაუბრებთ თქვენს ადვოკატს. ერთდერითი გამოწვევის არის მაშინ, როდესაც არსებობს გამოკითხვის დაწყების გადაუდებელი აუცილებლობა, მაგალითად, სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი სიტუაცია.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ადვოკატის მოსვლას შეიძლება გარკვეული დრო დასჭირდეს. როგორც წესი, ადვოკატი ადგილზე ცხადდება 2 საათში პოლიციის მოთხოვნის მიღებიდან.

რისი გაცემაა შეუძლია ადვოკატს თქვენთვის პოლიციის მიერ გამოკითხვამდე?

გამოკითხვამდე ადვოკატს შეუძლია შემდეგი დახმარების განევა:

- განვიმართოთ, თუ რას მოიცავს ის დანაშაული, რაშიც ეჭვმიტანილი ხართ;
- მოგცეთ იურიდიული რჩევა;
- განვიმართოთ პოლიციის მიერ გამოკითხვის პროცესი;
- განვიმართოთ თქვენი უფლებები და მოვალეობები გამოკითხვის დროს;
- თუ გსურთ, დაუკავშირდეს თქვენს ოჯახს ან დამსაქმებელს თქვენის მდგომარეობის შესახებ შეტყობინების მიზნით.

პოლიცია არ მოუხმენს თქვენს საუბარს ადვოკატთან. ყველა საკითხი, რომელსაც განიხილავთ ადვოკატთან, არის კონფიდენციალური. თქვენს ადვოკატს არ აქვს უფლება ესაუბროს პოლიციას, სახელმწიფო პროკურორს ან ნებისმიერ სხვა პირს იმის შესახებ თუ რაზე იმსჯელებთ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქვთ თქვენგან ამის ნებართვა.

რისი გაცემაა შეუძლია ადვოკატს თქვენთვის პოლიციის მიერ გამოკითხვაზე?

- ადვოკატს შეუძლია გააკეთოს კომენტარები ან დაუსვას შეკითხვები გამოკითხველს გამოკითხვის დასაწყისში და ბოლოს.
- გამოკითხვის დროს, თქვენ ან თქვენს ადვოკატს შეგიძლიათ ითხოვოთ გამოკითხვის შეჩერება, რათა კონსულტაცია გაიაროთ ადვოკატთან. თუკი ამას ძალიან ხშირად გააკეთებთ, გამოკითხველს შეუძლია უარი გითხრათ.
- თუ არ გესმით შეკითხვები ან კომენტარები, თუ გამოკითხვის დროს თავს წნეხის ქვეშ გრძნობთ ან თუ არ შეგიძლიათ გამოკითხვის გაგრძელება ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მიზეზების გამო, თქვენს ადვოკატს შეუძლია გამოკითხველს აცნობოს ამის შესახებ.

რისი გაცემაა შეუძლია ადვოკატს თქვენთვის გამოკითხვის შემდეგ?

- გამოკითხვის შემდეგ, თქვენ და თქვენს ადვოკატს შეგიძლიათ ნახოთ გამოკითხვის ოფიციალური ოქმი და აცნობოთ პოლიციას მასში არსებული ნებისმიერი უზუსტობის შესახებ.
- გარდა ამისა, თქვენს ადვოკატს შეუძლია გაცნობოთ, რისი გაცემაა შეგიძლიათ, თუ არ ეთანხმებით პოლიციაში პატიმრობის გახანგრძლივებას.

რა ხდება მას შემდეგ, რაც გამოკითხავენ?

გამოკითხვის შემდეგ, სახელმწიფო პროკურორი გადაწყვეტს, როგორ მოიქცევა თქვენს საქმესთან მიმართებით. სახელმწიფო პროკურორს შეუძლია ერთ-ერთი ქვემოთ მოცემული გადაწყვეტილებების მიღება:

საქმის დახურვა

თქვენი საქმე შეიძლება დაიხუროს. ეს ნიშნავს, რომ თქვენს წინააღმდეგ არ განხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნა. როდესაც თქვენ საქმეს დახურავთ, ეს შეიძლება მოხდეს გარკვეული პირობების გათვალისწინებით, რომლებიც უნდა დააკმაყოფილოთ.

მაგალითად, თქვენ შეიძლება აგეკრძალოთ დაზარალებულთან კონტაქტი ან/და პრობაციული დაკვირვების ქვეშ მოექცეთ განსაკუთრებული პირობებით. თუ თქვენ არ შეასრულებთ ამ პირობებს ან ჩაიდენთ სხვა სისხლის სამართლის დანაშაულს, თქვენ ისევ შეიძლება დაგიბარონ სასამართლოში იმ საქმეზე, რომელიც დაიხურა.

ბრძანება სასჯელის დაკისრების შესახებ

თუ სახელმწიფო პროკურორი გადაწყვეტს, რომ დამნაშავე ხართ, მან შეიძლება გასცეს ბრძანება სასჯელის დაკისრების შესახებ. თუ თქვენზე გაიცემა ბრძანება სასჯელის დაკისრების შესახებ, ეს შეიძლება მოიცავდეს თქვენს დაჯარიმებას ან საზოგადოებრივი სამუშაოს შესრულებას. ან შეიძლება თქვენ აგეკრძალოთ ავტომობილის მართვა ან/და შეიძლება დაგეკისროთ ქცევითი ზომა (როგორცაა დაზარალებულთან კონტაქტის განწყვეთა ან პრობაციის სამსახურთან კონტაქტზე დარჩენა).

თუ თქვენ დაგაჯარიმებენ, შეგიძლიათ პირდაპირ გადაიხადოთ ჯარიმა პოლიციის განყოფილებაში ყოფნისას. თუმცა, ჯარიმის გადახდა შეგიძლიათ მხოლოდ მას შემდეგ, რაც გექნებათ ადვოკატთან ამ საკითხის განხილვის შესაძლებლობა. თუ იქვე გადაიხდით ჯარიმას, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენს წინააღმდეგ არსებული საქმე დახურულია.

თუ სახელმწიფო პროკურორი გადაწყვეტს, რომ გასცეს ბრძანება სასჯელის დაკისრების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს ავტომობილის მართვის აკრძალვას ან საზოგადოებრივ სამუშაოს, თავდაპირველად ჩატარდება სხდომა სახელმწიფო პროკურორთან. ამ სხდომამდე შეგიძლიათ გაიაროთ კონსულტაცია ადვოკატთან. ადვოკატს ასევე შეუძლია სხდომაზე დასწრება. თუ საჭიროა, შესაძლებელია სხდომის თარიღის შეცვლა, რათა ადვოკატმა შეძლოს დასწრება. სხდომის ჩატარება შესაძლებელია ვიდეო ბმულის მეშვეობით.

სასამართლოს გარეთ საქმის მოგვარება

გარკვეულ შემთხვევებში, სახელმწიფო პროკურორმა შეიძლება შემოგთავაზოთ სასამართლოს გარეთ საქმის მოგვარება. სასამართლოს გარეთ საქმის მოგვარება ითვალისწინებს გარკვეულ პირობებს. თუ თქვენ დააკმაყოფილებთ ამ პირობებს, თავიდან აირიდებთ მომავალში სისხლის სამართლებრივ დევნას. სასამართლოს გარეთ საქმის მოგვარება შეიძლება მოიცავდეს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ პირობას: თანხის გადახდა, დაზარალებულისათვის კომპენსაციის გადახდა ან პოლიციის

მიერ ამოღებული ნივთების მფლობელობაზე უარის თქმა. თუ მოცემულ ვადაში ნებისმიერ ამ პირობას ვერ დააკმაყოფილებთ, მოგიწევთ სასამართლოში გამოცხადება. სასამართლოს გარეთ საქმის მოგვარების თანხის გადახდა ასევე პირდაპირ პოლიციის განყოფილებაშია შესაძლებელი. ეს შეიძლება მოსახერხებელი იყოს, მაგალითად, თუ არ გაქვთ ნიდერლანდებში მუდმივი ან დროებითი მისამართი.

სასამართლოს საქმე

სახელმწიფო პროკურორმა შეიძლება გადანაცვლოს თქვენი საქმის სასამართლოში განხილვა. ამის შემდეგ მიიღებთ გამოცხადების უწყებას სახელმწიფო პროკურატურიდან. გამოცხადების უწყებაში მითითებული იქნება ის დანაშაული, რომელიც ბრალად გედებათ და სასამართლო სხდომის დრო და ადგილმდებარეობა.

კორესპონდენციის ციფრულად მიღება mijn.overheid.nl-ის მეშვეობით

შეგიძლიათ აირჩიოთ თქვენს საქმეზე არსებული ყველა კორესპონდენციის მიღება სახელმწიფო პროკურატურის

სამსახურიდან ციფრულად mijn.overheid.nl-ის მეშვეობით, ჰოლანდიის მთავრობის ვებგვერდი. თუ გსურთ კორესპონდენციის ციფრულად მიღება, შედით თქვენს Berichtenbox-ში ან mijn.overheid.nl-ზე თქვენი DigiD-ით, გადადით 'Instellingen'-ზე (პარამეტრები) და მონიშნეთ Openbaar Ministerie' ის ველი (სახელმწიფო პროკურატურა).

გექნებათ თუ არა სასამართლეობა

თუ მიიღებთ ბრძანებას სასჯელის დაკისრების შესახებ ან დათანხმდებით სახელმწიფო პროკურორის მიერ შემოთავაზებულ სასამართლოს გარეთ საქმის მოგვარებას, ეს შევა სასამართლო ჩანაწერებში, რაც ნიშნავს იმას, რომ გექნებათ ნასამართლეობა. ამის შედეგად შეიძლება ვერ მიიღოთ ცნობა ნასამართლობის არქონის შესახებ (VOG), რომელიც საჭიროა გარკვეული სამსახურებისა და სტაჟირებებისთვის. ადვოკატს შეუძლია მეტი ინფორმაციის მოწოდება ამის შესახებ. გარდა ამისა, პოლიციის განყოფილებაში ხელმისაწვდომია ბროშურა, სადაც განმარტებულია შედეგები. მეტი ინფორმაციისათვის (VOG)-ზე, ეწვიეთ ვებგვერდს: www.justis.nl/producten/vog.

გამოქვეყნებულია:

იუსტიციისა და უსაფრთხოების სამსახურის მიერ
Ministry of Justice and Security
PO Box 20301 | 2500 EH The Hague

მარტი, 2022 წ. | 22402696

მოცემული საინფორმაციო ფურცლის შინაარსი არ ითვალისწინებს რაიმე უფლებების მინიჭებას.

